საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
KA990120611977822

№17/31 09 / იანვარი / 2023 წ.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს პირდაპირი მიყიდვისა და
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის
განკარგვის სამსახურის უფროსს ქალბატონ
ნინო სხირტლაძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 06 დეკემბრის N6/67835 კორესპონდენცია, რომელიც ეხება წალკის მუნიციპალიტეტში, სოფელ კიზილ-კილისში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 167973 კვ.მ (ს.კ 85.07.21.786), 22609 კვ.მ (ს.კ 85.07.21.800), 24050 კვ.მ (ს.კ 85.07.21.817), 13092 კვ.მ (ს.კ 85.07.21.802), და სოფელ ოზნიში მდებარე, 39338 კვ.მ (ს.კ 85.09.22.160), 2312 კვ.მ; 4159 კვ.მ და 3699 კვ.მ (დაურეგისტრირებელი) მიწის ნაკვეთების პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შერჩეული მიწის ნაკვეთები ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - წმ. სოფიოს ეკლესიის (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N3/133 30.03.2006) - ინდივიდუალური დამცავი ზონის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებში. შესაბამისად, მათზე ვრცელდება "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი რეგულაციები.

დასახელებული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით. ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის:
ა) იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას;
ბ) ქიმიურ, ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა;
გ) ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას;
დ) მცენარეთა იმ სახეობების ან იმგვარად დარგვა, რომლებმაც ან რამაც შეიძლება დააზიანოს ძეგლი.
ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, კომპეტენციის ფარგლებში, მიზანშეწონილად არ მიაჩნია განხორციელდეს წალკის მუნიციპალიტეტში, სოფელ კიზილ-კილისში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 24050 კვ.მ (ს.კ 85.07.21.817) მიწის ნაკვეთის პრივატიზება, რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - წმ. სოფიოს ეკლესია. ხოლო დანარჩენ ნაკვეთებთან მიმართებით დაცული უნდა იყოს "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული რეჟიმი. ხოლო უძრავი ქონების შემდგომში განვითარების, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, საჭიროა ნებისმიერი ქმედება შეთანხმდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მათ შორის სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან. ასევე, მიწის სამუშაოების განხორციელების პროცესში თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოავლენს ან აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას, ან ამის შესახებ გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, ისეთი საქმიანობის პერიოდში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება დააზიანოს, გაანადგუროს ან ამის საფრთხე შეუქმნას მას, საქმიანობის

მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული საქმიანობა და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, ან აღმოჩენის, ან ამის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს სამინისტროს, მოცემულ ეტაპზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში - სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ("კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონი; მუხლი 10; მუხლი 41, პ. 2; საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 31.05.2019, თავი I, მუხლი 3, პ. 2, ი).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი